ხელშეკრულება №150

(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ)

ქ.ოზურგეთი 25 ივნისი 2015 წელი

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქი - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (ა)ი.პ. „ოზურგეთის სერვისცენტრი" (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვლადიმერ სალუქვაძის სახით და მეორეს მხრივ შპს "შპს გზამშენი" წარმომადგენელი მისი დირექტორი თეიმურაზ ჯახვა (ს.კ237081206) (შემდგომში მიმწოდებელი), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1 ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია (CPV კოდი): 34928470 - საგზაო ნიშნები.

2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.
2.2 ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 270 (ორასსამოცდაათი) ლარი.

3 შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტია, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი დააკმაყოფილებს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებულ პირობებს.

4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ვადები და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტიდან 2015 წლის – 27 ივლისის ჩათვლით.
4.2 მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
4.3 მიმწოდებელი ვალდებულია, შემსრულებლის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს სასაქონლი ზედნადები ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გაწეული მომსახურების შესახებ.

5 მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა)შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
ბ) მოითხოვოს მომსახურების გაუქმება, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს მიმწოდებელს 30 კალენდარული დღით ადრე;
5.2.შემსყიდველი ვალდებულია:
ა)მოახდინოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და ტარიფების შესაბამისად.
ბ)ერთი კვირის განმავლობაში წერილობით აცნობოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მის რეკვიზიტებში ცვლილებების შეტანის შესახებ.
გ)შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა)შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე შემსყიდველი, თავისი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას ან მის გარეშე, მოახდენს წინამდებარე ხელშეკრულებით მისთვის შეთავაზებული მომსახურების მიწოდებას ნებისმიერი ფორმით მესამე პირებისათვის სასყიდლით (მოგების/სარგებლის მიღების მიზნით).
ბ)მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა)უზრუნველყოს ხარისხიანი საქონლის მიწოდება;

ბ)შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

6. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

6.1მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
6.2წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული დაუძლეველი ძალის არსებობა უნდა დადასტურდეს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ.
6.3 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს მომსახურების შეფერხებაზე ან შეწყვეტაზე, თუ ეს გამოწვეულია შემსყიდველის მიერ ისეთი სააბონენტო მოწყობილობის გამოყენებით, რომელიც არ შეესაბამება ასეთი მოწყობილობებისათვის დადგენილ ტექნიკურ ნორმებს.

7. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
7.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტში მითითებული დაუძლეველი ძალის არსებობა უნდა დადასტურდეს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხიმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების გზით.
9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10 . ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალა შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით.

დანართი 1

№	საქონლის დასახელება	CPV კოდი	განყოფილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი ლარი	თანხა ლარი
1	საგზაო ნიშანი		კომუნალური	2 ცალი	70,00	140,00
2	საგზაო ნიშანი		კომუნალური	2 ცალი	65,00	130,00
	სულ:					**270,00**

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
თვითმმართველი ქალაქი-
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
ა.(ა).ი.პ „ოზურგეთის სერვისცენტრი"
ქ. ოზურგეთი, გურამიშვილის #12
საიდენტიფიკაციო კოდი: 437063026
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბკ.**TRESGE22** ა/ნ742403459

დირექტორი:

ვლადიმერ სალუქვაძე ----------

მიმწოდებელი:
შპს "გზამშენი"
ოზურგეთი თაყაიშვილის ქ.#62
ს/კ 237081206
ს/ს „ვითიბი ბანკი „
ანგ N GE17VT4300000000467156
ბანკის კოდი: UGEBGE22

დირექტორი:

თეიმურაზ ჯახვა ----------